ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:**ბ42. 422305919**

თარიღი:**28/02/2023**

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 76-ე მუხლის, მე-3-ე პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. დამტკიცდეს:

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა დანართი 1-ის შესაბამისად;

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი დანართი 2-ის შესაბამისად;

გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაციების ნუსხა დანართების 3-6-ის შესაბამისად.

2. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა, ადმინისტრაცულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასათან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

3. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 1 ივნისის ბ42.422215215 ბრძანება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების თაობაზე“.

4. ბრძანება ძალაშია 2023 წლის 1 მარტიდან.

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი 1

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა

ბექა ვაჭარაძე	მერი - თავმჯდომარე
დავით კვიციანი	მერის პირველი მოადგილე - თანათავმჯდომარე
მამუკა პაპასკირი	მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ლექსო თოდუა	მერის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ვასილ თოდუა	საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი
გვანცა გვაძაბია	ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ნინო გვასალია	მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
გიორგი თოლორდავა	ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
დავით ჯგერენაია	არქიტექტურის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
მაია მაკალათია	ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ზურაბ ტიბუა	კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ქეთევან სოფრომაძე	საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ნარგიზა გაბელია	საქმისწარმოების განყოფილების უფროსი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ნათია გუჯაბიძე ზურაბ ბერაია გელა ჭყონია ეკატერინე ჯაბუა	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლები (უბნების მიხედვით) - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენლები
მაია დოლბაია	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
შალვა სარდალიშვილი	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ნანა ვეკუა	საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი

ბექა მორჩილაძე	საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
თემურ დუნდუა	საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
დავით ესებუა	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ნიკოლოზ იზორია	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
უჩა დოლიძე	საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ინგა გვასალია	საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი
ილია ქვარცხავა	სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი - სამუშაო ჯგუფის მუდმივი წარმომადგენელი

დანართი 2

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მოსამზადებელი საბიუჯეტო კალენდარი

ვადა	აქტივობა
1 მარტი, 2023 წელი	მუნიციპალიტეტის მერი გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანება), რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.
	სამართლებრივი აქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში იქმნება სამუშაო ჯგუფი და იწყება მუშაობა პრიორიტეტების დოკუმენტის შესადგენად.
	მუნიციპალიტეტის მერის სამართლებრივი აქტი, რომლის მიხედვითაც შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, განისაზღვრა პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები, ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
25 მარტი, 2023 წელი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება და წარმოადგენს მოსახლეობის გამოკითხვის შინაარსობრივ ნაწილს, კერძოდ: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გააუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა ევალებათ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს (უბნების მიხედვით) და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეებს.
20 აპრილი, 2023 წელი	სამუშაო ჯგუფი აცხადებს მოქალაქეებიდან წინადადებების მიღებას ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით, რომელსაც კოორდინაციას უწევს საინფორმაციო, საგარეო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება.
31 მაისი, 2023 წელი	ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით მოქალაქეთა წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადა.
5 ივნისი, 2023 წელი	სამუშაო ჯგუფი იკრიბება პრიორიტეტების დასახარისხებლად, რაც უნდა განხორციელდეს სიტუაციური ანალიზისა და მოქალაქეთა კვლევის შედეგების საფუძველზე.
25 ივნისი, 2023 წელი	საბიუჯეტო ორგანიზაციები, საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურსა და დარგის კურატორებთან შეთანხმებით, ამზადებენ და წარუდგენენ საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ ინფორმაციას, როგორც ეს აღწერილია ბრძანების მე-3 და მე-4 დანართებში მოცემული შაბლონის გამოყენებით. ისინი აფასებენ მოქალაქეთა წინადადებებს ახალ პროგრამებთან/ქვეპროგრამებთან დაკავშირებით და ითვალისწინებენ ამ წინადადებებს მათი ობიექტური საფუძვლიანობიდან გამომდინარე.
15 აგვისტო, 2023 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, სამუშაო ჯგუფთან ერთად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 15 ივლისს მიღებული ძირითადი პარამეტრების გათვალისწინებით, ამზადებს პრიორიტეტების დოკუმენტის პირველად ვარიანტს და წინადადებებს ზღვრული მოცულობების თაობაზე, რომელსაც იწონებს მუნიციპალიტეტის მერი.
	ზღვრული მოცულობები, ჭერებისა და რიცხოვნების მითითებით, ეცნობებათ საბიუჯეტო ორგანიზაციებს.

ვადა	აქტივობა
	პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი, რომლითაც განსაზღვრულია პრიორიტეტების 2024-2027 წლების ასიგნებების ზღვრული მოცულობები (ჭერები) და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები, იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
1 სექტემბერი, 2023 წელი	2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე სამუშაო ჯგუფი ასრულებს მუშაობას და ამტკიცებს მუნიციპალიტეტის მერი.
	2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
10 სექტემბერი, 2023 წელი	საბიუჯეტო ორგანიზაციები საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს წარუდგენენ შევსებულ საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს, დამატებითი ასიგნებების მოთხოვნებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
1 ნოემბერი, 2023 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური, საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან 5 ოქტომბერს მიღებული საპროგნოზო მაჩვენებლების გათვალისწინებით, ამზადებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტს, პრიორიტეტების დოკუმენტთან ერთად და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
	ინფრასტრუქტურის სამსახური საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 77-ე მუხლის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანების „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ მე-4 დანართის, მე-7 პუნქტის საფუძველზე, ამზადებს მუნიციპალიტეტის კაპიტალურ ბიუჯეტს და წარუდგენს სამუშაო ჯგუფს.
10 ნოემბერი, 2023 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური ბიუჯეტისა და პრიორიტეტების დოკუმენტის დაზუსტებულ ვარიანტს წარუდგენს სამუშაო ჯგუფს. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ახდენს წარდგენილი დოკუმენტების კორექტირებას.
15 ნოემბერი, 2023 წელი	მუნიციპალიტეტის მერი განსახილველად წარუდგენს საკრებულოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად.
	ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი, თანდართულ მასალებთან ერთად, ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
25 ნოემბერი, 2023 წელი	მუნიციპალიტეტის საკრებულო, შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, არაუგვიანეს 25 ნოემბრისა, ბიუჯეტის პროექტს შენიშვნებით უბრუნებს მერს.
10 დეკემბერი, 2023 წელი	მუნიციპალიტეტის მერი, ბიუჯეტის პროექტს, თანდართულ მასალებთან ერთად, იმავე ან შესწორებული ვარიანტით, არაუგვიანეს 10 დეკემბრისა წარუდგენს საკრებულოს დასამტკიცებლად.
31 დეკემბერი, 2023 წელი	მუნიციპალიტეტის საკრებულო საჯაროდ იხილავს ბიუჯეტის პროექტს და ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებამდე იღებს გადაწყვეტილებას ბიუჯეტის პროექტის დამტკიცების შესახებ.
	დამტკიცებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი, თანდართულ მასალებთან ერთად, ქვეყნდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.
5 იანვარი, 2024 წელი	ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებიდან არა უგვიანეს 20 დღისა, საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური საქართველოს ფინანსთა სამინისტროს უგზავნის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამის პრიორიტეტების დოკუმენტს.
10 იანვარი, 2024 წელი	საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური ამზადებს ბიუჯეტის კვარტალურ განწერას საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით.
5 თებერვალი, 2024 წელი	დარგობრივი სამსახურები და ა(ა)იპ-ები საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს უგზავნის მათი 2023 წლის ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების წლიურ ანგარიშს პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგიისა და საბიუჯეტო კოდექსის შესაბამისად (დანართი 5-6).

ვადა	აქტივობა
15 თებერვალი - 1 მარტი, 2024 წელი	განხორციელდეს მოსახლეობის გამოკითხვა (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების (უბნების მიხედვით) და საკრებულოს კომისიის თავმჯდომარეების მიერ) და მომზადდეს ანალიზი: 1) რამდენად კმაყოფილია მუნიციპალიტეტის მოსახლეობა გასულ წელს განხორციელებული პროგრამებით. 2) მოქალაქეთა აზრით, რომელია ის პრიორიტეტული სფეროები, რომლებშიც ადგილობრივმა თვითმმართველობამ უნდა გაუმჯობესოს მომსახურების მიწოდება მომავალ წლებში.
25 თებერვალი, 2024 წელი	სამუშაო ჯგუფი შეისწავლის და განიხილავს დარგობრივი სამსახურების და ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილ შესრულების ანგარიშებს. ორგანიზაციები ითვალისწინებენ სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციებს მომდევნო წლის სამუშაოების დაგეგმვისას.
28 თებერვალი, 2024 წელი	მუნიციპალიტეტის მერი ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს წარუდგენს საკრებულოს.
	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში იტვირთება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე.

დანართი 3

პროგრამის განაცხადის ფორმა

<table>
<tr><td rowspan="3">პროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td colspan="3" rowspan="3"></td><td colspan="2">დაფინანსება ათას ლარებში</td></tr>
<tr><td rowspan="2"></td><td>2024 წელი</td><td>2025-2027 წ.წ.</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>პროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td>მოსალოდნელი შედეგი</td><td colspan="6"></td></tr>
<tr><td rowspan="4">შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>#</td><td>საბაზისო მაჩვენებელი (2023 წ.)</td><td>მიზნობრივი მაჩვენებელი (2024 წ.)</td><td>ცდომილების ალბათობა (%)</td><td colspan="2">შესაძლო რისკი</td></tr>
<tr><td>1</td><td></td><td></td><td></td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>2</td><td></td><td></td><td></td><td colspan="2"></td></tr>
<tr><td>3</td><td></td><td></td><td></td><td colspan="2"></td></tr>
</table>

პროგრამის ბიუჯეტი

პროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი

სულ პროგრამა					

დანართი 4

ქვეპროგრამის განაცხადის ფორმა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი			დაფინანსება ათას ლარებში	
				2024 წელი	2025 -2027 წ.წ.
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური					
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი					
მოსალოდნელი შედეგი					
შედეგის შეფასების ინდიკატორი	#	საბაზისო მაჩვენებელი (2023 წ.)	მიზნობრივი მაჩვენებელი (2024 წ.)	ცდომილების ალბათობა (%)	შესაძლო რისკი
	1				
	2				
	3				

ქვეპროგრამის ბიუჯეტი

ქვეპროგრამის დასახელება	სულ	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი
სულ ქვეპროგრამა					

დანართი 5

ინფორმაცია პროგრამის შესრულების თაობაზე

პროგრამის დასახელება	კოდი		დაფინანსება 2023 წელს ათას ლარში
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი			
მიღწეული შედეგი			

	#	მიზნობრივი მაჩვენებელი (2023 წ.)	მიღწეული მაჩვენებელი (2023 წ.)	ცდომილების მაჩვენებელი (%)	განმარტება
მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი	1				
	2				

დანართი 6

ინფორმაცია ქვეპროგრამის შესრულების თაობაზე

<table>
<tr><td rowspan="2">ქვეპროგრამის დასახელება</td><td>კოდი</td><td colspan="3" rowspan="2"></td><td>დაფინანსება 2023 წელს ათას ლარში</td></tr>
<tr><td></td><td></td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td>მიღწეული შედეგი</td><td colspan="5"></td></tr>
<tr><td rowspan="3">მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი</td><td>#</td><td>მიზნობრივი მაჩვენებელი (2023 წ.)</td><td>მიღწეული მაჩვენებელი (2023 წ.)</td><td>ცდომილების მაჩვენებელი (%)</td><td>განმარტება</td></tr>
<tr><td>1</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
<tr><td>2</td><td></td><td></td><td></td><td></td></tr>
</table>